საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის **2023** წლის საქმიანობის ანგარიში

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

2023 წლის საქმიანობის ანგარიში

ანგარიშის მიმოხილვა 2

ზოგადი ინფორმაცია ასოციაციის შესახებ 2

ასოციაციის მართვის სტრუქტურა და ბიუჯეტი 3

ინფრასტრუქტურული განვითარება 6

საკანონმდებლო ცვლილებები ადვოკატის როლის გაუმჯობესებისთვის 8

ადვოკატთა ასოციაციის ჩართულობა მართლმსაჯულებასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ პროცესებში 10

ასოციაციის სოციალური დაცვის ფონდის საქმიანობა და წევრთა მხარდაჭერა 13

ასოციაციის საკომიტეტო და ანალიტიკური საქმიანობა 14

ასოციაციის საგანმანათლებლო საქმიანობა 20

ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობა 26

ასოციაციის სარევიზიო კომისიის საქმიანობა 33

საერთაშორისო თანამშრომლობა 34

კორპორაციული მიმართულება 43

ანგარიშის მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ზოგად ინფორმაციას ასოციაციის მართვის სტრუქტურისა და მანდატის შესახებ. ანგარიშში ასახულია ინფორმაცია 2023 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობების თაობაზე.

ზოგადი ინფორმაცია ასოციაციის შესახებ

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (შემდგომში "ასოციაცია") წარმოადგენს პირთა წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და შექმნილია "ადვოკატთა შესახებ" და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონების საფუძველზე.

ანგარიშის მომზადების პერიოდისთვის, ასოციაცია აერთიანებს 10 589 წევრს, საიდანაც 5 253 მოქმედი ადვოკატია.

ადვოკატთა ასოციაციის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ხარისხიანი და სანდო მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრებას იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობისა და საადვოკატო საქმიანობაში მაღალი პროფესიული სტანდარტების უზრუნველყოფის გზით.

ასოციაციის მართვის სტრუქტურა და ბიუჯეტი

ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება. ადვოკატთა ასოციაციაში „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფუნქციათა შესასრულებლად შექმნილია აღმასრულებელი საბჭო, ეთიკის კომისია და სარევიზიო კომისია, რომელთა უფლებამოსილებაც გაწერილია ასოციაციის წესდებითა და “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონით.

ასოციაციის მართვის ორგანოა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, რომელიც ამჟამად შედგება 11 წევრისაგან და რომლის შემადგენლობაშიც თანამდებობრივად შედის ასოციაციის თავმჯდომარე.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა აღმასრულებელი საბჭოს 27 სხდომა და საბჭოს წევრებმა განიხილეს 150-მდე საკითხი.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმები საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია ასოციაციის ვებ-გვერდზე.

ასოციაცია ყოველდღიურ საქმიანობასა და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას უზრუნველყოფს აპარატის საშუალებით, რომელიც შედგება 5 ძირითადი მიმართულებისგან:

- სამდივნო;
- ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტი;
- სასწავლო ცენტრი;
- ეთიკის კომისიის აპარატი.

ასოციაციის აპარატს ხელმძღვანელობს ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი, რომლის უფლებამოსილება გაწერილია “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონითა და ასოციაციის წესდებით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასოციაციის აპარატში დასაქმებული იყო 30 პირი: 21 ქალი და 9 კაცი. ასოციაცია თბილისის მასშტაბით აერთიანებს ერთ, ხოლო რეგიონული მასშტაბით ოთხ ოფისს: ზუგდიდში, ბათუმში, ქუთაისსა და თელავში.

ასოციაციაში ფუნქციონირებს 14 თემატური კომიტეტი/სამუშაო ჯგუფი თბილისის, ხოლო 11 კომიტეტი რეგიონული მასშტაბით.

ასოციაციის 2023 წლის ბიუჯეტი, რომელსაც ყოველი წლის ბოლოს ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო, შეადგენდა 1 211 208 ლარს.



საანგარიშო წლის განმავლობაში ასოციაციაში გაწევრიანებულ პირთა სტატისტიკური მონაცემები:

2023 წელს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანდა 342 პირი - 155 სამოქალაქო სამართლის, 81 სისხლის სამართლის, ხოლო 106 საერთო სპეციალიზაციით. საანგარიშო პერიოდისთვის ასოციაცია აერთიანებს 5 253 მოქმედ წევრს, საიდანაც 2609 კაცი და 2644 ქალია. 5 253 მოქმედი წევრიდან 3695 წევრი თბილისში, ხოლო 1558 რეგიონებში საქმიანობს.

საწევრო შეღავათის სახე და პროცენტული მაჩვენებელი



ინფრასტრუქტურული განვითარება

საანგარიშო წლის განმავლობაში, ადვოკატთა ასოციაციის ახალი ოფისის მშენებლობა დასრულდა, მოხდა მისი ექსპლუატაციაში მიღება და განხორციელდა სრული კეთილმოწყობა. შესაბამისად, ასოციაციის ყველა სტრუქტურული ერთეული საქმიანობას ახალ ოფისში ახორციელებს. ამასთან, ოფისი მოიცავს ასოციაციის წევრთა საერთო სივრცეებს, სატრენინგო და საკონფერენციო დარბაზებს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახალი ოფისი - „ადვოკატთა სახლი“ 2023 წლის 23 ივნისს ოფიციალურად გაიხსნა. ახლადაშენებული შენობა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა, საქართველოს პრემიერ მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, მარია სლაზაკმა და ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, კლაუდიო ვისკომ გახსნეს.

მოწვეულ სტუმრებს, ასევე, მისასალმებელი სიტყვით მიმართეს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა და გენერალურმა პროკურორმა, ირაკლი შოთაძემ. ცერემონიას ესწრებოდნენ აშშ-ს ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი და დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლები. სპეციალურად საზეიმო

ღონისძიებისთვის საქართველოში ჩამოვიდნენ დელეგაციები ლატვიიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან და სომხეთიდან.

ახალი ოფისის მშენებლობას 2021 წლის იანვარში ჩაეყარა საფუძველი. ამავე წელს შენობის არქიტექტურამ და კონცეფციამ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო მოიპოვა და - Global Architecture & Design Award -ის 2021 წლის გამარჯვებული გახდა.



საკანონმდებლო ცვლილებები ადვოკატის როლის გაუმჯობესებისთვის

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების აქტიური ჩართულობით 2022 წელს შემუშავებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ადვოკატთა როლის გაძლიერებას ისახავს მიზნად.

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის ინიცირების მიზნით, საანგარიშო წლის განმავლობაში გაიმართა შეხვედრები ასოციაციისა და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებს შორის. ამასთან, 2023 წლის 18 დეკემბერს სამუშაო შეხვედრა შედგა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს, მიხეილ სარჯველაძესა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეს, დავით მათიკაშვილთან. შეხვედრის ფარგლებში მხარეები სამომავლო სამოქმედო გეგმაზე შეჯერდნენ, რომელიც საგაზაფხულო სესიის ფარგლებში ასოციაციის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო პაკეტის ინიცირებასაც ითვალისწინებს.

ასევე, აღნიშნული მიმართულებით საანგარიშო პერიოდში ასოციაციამ გააქტიურა მუშაობა ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოსთან'' (CCBE), რის შედეგადაც CCBE-მ, ასოციაციის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მხარდასაჭერად, საქართველოს პარლამენტს მიმართა.

მიმართვაში CCBE მხარდაჭერას უცხადებს პირველი ინსტანციის სასამართლოში ადვოკატების წარმომადგენლობის ექსკლუზიურობას და, მათ შორის, აღნიშნავს შემდეგს: არაადვოკატ პირთა მიერ წარმომადგენლობამ შეიძლება განაპირობოს მეტი შეცდომის დაშვება (არადამაკმაყოფილებელი/არასათანადო წარმომადგენლობა) და გაზარდოს გასატარებელ სამუშაოთა მოცულობა სასამართლოებისთვის.

ამასთან, ზედა ინსტანციის სასამართლოსთვის ძალზე რთულია იმ შეცდომების გამოსწორება, რომლებიც დაშვებულია პირველ ინსტანციაში. ამას გარდა, მხარეები/კლიენტები არათანაბარ პირობებში ხვდებიან, როდესაც ერთი მათგანი წარმოდგენილია ადვოკატით, ხოლო მეორე - არაადვოკატით ან პირით, რომელსაც არ გააჩნია იურიდიული კვალიფიკაციშესაბამისად, მისი ქცევა არ არის რეგლამენტირებული ადვოკატთა ეთიკის კოდექსით. ამასთან, მაშინ, როდესაც ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, თუ ნასამართლეობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 10), და არსებული კანონმდებლობით ნასამართლობის მქონე არაადვოკატ პირს შეუძლია განახორციელოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რამაც შესაძლოა, სერიოზული რისკის ქვეშ დააყენოს კლიენტის ინტერესები და დააზიანოს იურიდიული პროფესიისა და მართლმსაჯულების სისტემის რეპუტაცია. ამ და პარლამენტისადმი მიმართვაში აღნიშნული სხვა გარემოებების საფუძველზე, CCBE-მ მხარი დაუჭირა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს სამოქალაქო საქმეთა წარმოებასთან დაკავშირებით და მიმართა საქართველოს პარლამენტს, გაითვალისწინოს CCBE-ს მოსაზრებები ასოციაციის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილების შეფასებისას.

ასოციაციის მიერ შემუშავებული და პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებულ არაერთ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს, მათ შორის:

- სამოქალაქო დავებზე პირველ ინსტანციაში სასამართლო წარმომადგენლობა ექსკლუზიურად ადვოკატის მიერ,
- პროფესიული საიდუმლოების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტის დაწესება,
- ადვოკატის სტაჟიორის გაზრდილი საპროცესო უფლებამოსილებები,
- უკანონო საადვოკატო საქმიანობის აკრძალვა,
- ფიზიკური პირის მიერ საადვოკატო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის საშეღავათო დაბეგვრა,
- სასამართლო ხარჯების სამართლიანი განაწილების პრინციპის უზრუნველყოფა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით,
- შეღავათი სახელმწიფო ბაჟში ადვოკატის ჰონორართან დაკავშირებულ დავებზე, და სხვა.

ადვოკატთა ასოციაციის ჩართულობა მართლმსაჯულებასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ პროცესებში

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭო (ბენჩ-ბარი)

საანგრიშო პერიოდში, მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench-Bar) 5 შეხვედრა გაიმართა. მათ შორის 2 თბილისში - თემებზე: მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები და სასამართლო პრაქტიკა, არსებული გამოწვევები; ბავშვთა უფლებები (განცალკევების, წარმომადგენლობის) საკითხები; 1 ქუთაისში - თემაზე: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრობლემური საკითხები; 1 ბათუმში - თემაზე: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და 1 კახეთში - თემაზე: საკანონმდებლო და პრაქტიკული საკითხები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებაში.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაში მონაწილეობდნენ ზემოაღნიშნულ სფეროებში ხანგრძლივი გამოცდილების მქონე ადვოკატები, მოსამართლეები და პროკურორები, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან.

საანგარიშო პერიოდში, მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრები USAID – ის სამართლის უზენაესობის პროგრამის, ევროპის საბჭოს ოფისისა (CoE) და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით ჩატარდა. მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრების მიზანი იურიდიულ

პროფესიათა შორის რეგულარული შეხვედრების, დიალოგისა და დისკუსიების გზით მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობაა.

სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში ჩართულობა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ფარგლებში შექმნილი სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, რომელიც ევროკომისიის 12 პუნქტიანი რეკომენდაციის შესაბამისად ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' კანონში ცვლილებების შეტანას ისახავს მიზნად.

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში რამდენიმე საკითხზე მიმდინარეობდა მსჯელობა, მათ შორის, მოსამართლეთა სხვა სასამართლოში მივლინებაზე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლე წევრების ორჯერ არჩევის აკრძალვის გაუქმებაზე. ასევე, რა რაოდენობით უნდა იყვნენ წარმოდგენილი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სასამართლოს თავმჯდომარეები და ადმინისტრაციული ფუნქციის მქონე პირები.

სამუშაო ჯგუფში ჩართულობის ფარგლებში, ადვოკატთა ასოციაციამ შეიმუშავა და სასამართლო რეფორმების სამუშაო ჯგუფს წარუდგინა ასოციაციის მოსაზრებები სანდო, ხარისხიანი და გამჭვირვალე მართლმსაჯულების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით.

გამოცემები მართლმსაჯულების სფეროში

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობის ფარგლებში, USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, მომზადდა გამოცემები მართლმსაჯულების სისტემაში არსებული გამოწვევების შესწავლისა და მათი გადაჭრის გზების დასახვის მიზნით. საანგარიშო პერიოდში ადვოკატთა ასოციაციამ გამოსცა შემდეგი სახელმძღვანელოები:

- სახელმძღვანელო რეკომენდაციები ადვოკატებისათვის მოსამართლეთა დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებით პრაქტიკაში არსებულ გამოწვევათა შესახებ;
- ინსტრუქცია საქართველოს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების თაობაზე;
- ანგარიში და რეკომენდაციები სასამართლოში საქმეთა ნაკადების მართვასთან დაკავშირებით.

აღნიშნული გამოცემები მიზნად ისახავს მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის ფართო დისკუსიის ხელშეწყობას, გამოკვეთილი ხარვეზების გადაჭრის გზების ძიებისა და ეფექტური მექანიზმების დანერგვისათვის. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებით, მოსამართლეების, ადვოკატების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით, გაიმართა აღნიშნული გამოცემების პრეზენტაცია და თანმდევი დისკუსია როგორც თბილისში, ასევე ქუთაისსა და ბათუმში.

სახალხო დამცველის შერჩევის პროცესში ჩართულობა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, მისი თავმჯდომარის - დავით ასათიანის მონაწილეობით, აქტიურად იყო ჩართული პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილ ახალი სახალხო დამცველის კანდიდატთა სპეციალური შეფასების სამუშაო ჯგუფში.

პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენამდე კანდიდატები სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ შეფასდნენ შემდეგი კრიტერიუმებით: კეთილსინდისიერება და მაღალი რეპუტაცია; მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა; სათანადო პროფესიული ცოდნა (კვალიფიკაცია, აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო მიღწევები და სხვა); პრაქტიკული გამოცდილება ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სფეროში.

დამატებით, საანგარიშო პერიოდში საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აქტიურად იყო ჩართული მართლმსაჯულების განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მიმდინარე პროცესებში, რაც გამოიხატებოდა სამუშაო ჯგუფებში, მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრებსა და საკანონმდებლო ინიციატივებისა თუ ცვლილებების განხილვაში მონაწილეობაში.

ასოციაციის სოციალური დაცვის ფონდის საქმიანობა და წევრთა მხარდაჭერა

ადვოკატთა სოციალური დაცვის ხელშეწყობის ფონდი 2013 წლიდან - დღემდე კოლეგიალური სოლიდარობის სულისკვეთებით ახორციელებს ჯანმრთელობის პრობლემების წინაშე მდგარი კოლეგების ფინანსურ მხარდაჭერას.

ფონდის მმართველი ორგანოა გამგეობა, რომელიც შედგება 5 წევრისგან და აირჩევა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ 3 წლის ვადით. ფონდის ბიუჯეტი ყოველწლიურად მტკიცდება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ და გარდა ნებაყოფლობითი შემოწირულობებისა, ასოციაციის საწევრო შენატანიდან არანაკლებ 5% ირიცხება ადვოკატთა სოციალური დაცვის ხელშეწყობის ფონდში.

საანგარიშო პერიოდში ადვოკატთა ასოციაციამ სოციალური დახმარების ფონდისთვის გამოყო 50 000 ლარი და დახმარება გაუწია ჯანმრთელობის პრომლემების მქონე 27 ადვოკატს.

ასოციაციის საკომიტეტო და ანალიტიკური საქმიანობა

დღეის მდგომარეობით ასოციაციაში ჯამურად ფუნქციონირებს 24 თემატური კომიტეტი და ერთი სამუშაო ჯგუფი.

თბილისის თემატური კომიტეტები	
1	ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი
2	სისხლის სამართლის კომიტეტი
3	სამოქალაქო სამართლის კომიტეტი
4	ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტი
5	ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტი
6	მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტი
7	კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტი
8	შრომის სამართლის კომიტეტი
9	ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კომიტეტი
10	საიმიგრაციო სამართლის კომიტეტი
11	საჯარო უწყებებისა და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან კომუნიკაციის კომიტეტი
12	პროფესიის სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტი
13	ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტი
14	ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამუშაო ჯგუფი

რეგიონული კომიტეტები		
1	ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი	**იმერეთის რეგიონული კომოიტეტები**
2	სამოქალაქო სამართლის კომიტეტი	

3	სისხლის სამართლის კომიტეტი	
4	ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი	**სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონული კომიტეტები**
5	სამოქალაქო სამართლის კომიტეტი	
6	სისხლის სამართლის კომიტეტი	
7	ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი	**აჭარის რეგიონული კომიტეტები**
8	სამოქალაქო სამართლის კომიტეტი	
9	სისხლის სამართლის კომიტეტი	
10	ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი	**სამცხე-ჯავახეთის რეგიონული კომიტეტი**
11	ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი	**კახეთის რეგიონული კომიტეტი**

კომიტეტების მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობების მიმოხილვა:

- 2023 წლის განმავლობაში, **ადვოკატის პროფესიული უფლებების დაცვის** თბილისის კომიტეტში დარეგისტრირდა 30 განცხადება, საიდანაც კომიტეტმა შეისწავლა და შესაბამისი დასკვნა მოამზადა 24 განცხადებაზე. თბილისის კომიტეტმა ჯამში ჩაატარა 14 მიმდინარე და 2 რიგგარეშე სხდომა, ხოლო ადვოკატის პროფესიული უფლებების რეგიონულმა კომიტეტმა - 20 სხდომა. კომიტეტების დასკვნის საფუძველზე მომზადდა წერილობითი დოკუმენტები და გაიგზავნა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში რეაგირების განხორციელების მიზნით. რეგიონებში მოქმედი ადვოკატების ჩართულობით, ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში ჩაატარა არაერთი ბრიფინგი, სხდომა და დისტანციური შეხვედრა.

- **შრომის სამართლის კომიტეტის** ორგანიზებით საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა შეხვედრები და დისკუსიები შრომის სამართლის აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის შრომითი უფლებების უახლესი სტანდარტების, სასამართლო პრაქტიკის განვითარების, შრომის კანონმდებლობის სიახლეებისა და ხარვეზების შესახებ. შრომის სამართლის კომიტეტის მიერ მომზადდა კვლევა სახელწოდებით ,,სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა შრომით ურთიერთობებში". კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა არაერთი ხარვეზი კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, რაც ჯერ კიდევ საჭიროებს გაუმჯობესებასა და დახვეწას.
- **ინტელექტუალური და საკუთრების სამართლის კომიტეტის** ეგიდით ევროკაშირი-საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების პროექტის ფარგლებში მომზადდა შემდეგი პუბლიკაციები: (ა) ევროკავშირის მართლმსაჯულებისა და საერთო იურისდიქციის სასამართლოების გადაწყვეტილებების კრებული; (ბ) საავტორო და მომიჯნავე უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული სასამართლო საქმეები. ამასთან, კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით როგორც დისკუსიებში, ასევე პროექტის შემუშავებაში.
- **კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის** წევრთა აქტიური ჩართულობით განხორციელდა არაერთი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით აქტივობები ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა: „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი და უახლესი ცვლილებების განმარტება, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" კანონის ძირითადი პრინციპები. შემუშავდა მოსაზრებები „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. საანგარიშო პერიოდში კომიტეტი აქტიურად იყო ჩართული საარბიტრაჟო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ განხილვებში. კომიტეტმა გამართა არაერთი შეხვედრა და მიმდინარე პეიროდშიც აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამასთან (CLDP), მოქმედი ადვოკატების პროფესიული სწავლების ტრენინგების დაგეგმვისა და სამეწარმეო სამართლის მიმართულებით ადვოკატთა ცნობიერების გაღრმავების მიმართულებით.
- საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებების ციკლის ფარგლებში **ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტმა** ჩაატარა შეხვედრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ბავშვების, ქალების და სხვა ჯგუფების უფლებების დაცვის თაობაზე. აგრეთვე, ტრენინგები ჩატარდა ადვოკატთა პროფესიულ საქმიანობაში გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის პრინციპების გაძლიერებისა და ადვოკატთა ცნობიერების ამაღლების მიზნით.

- ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტისა და მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტის მიერ

ერთობლივად შემუშავდა სახელმძღვანელო რეკომენდაციები ადვოკატებისათვის მოსამართლეთა დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებით პრაქტიკაში არსებულ გამოწვევათა შესახებ. სახელმძღვანელოს მიზანია, თვალსაჩინო გახადოს საქმის მწარმოებელ პირველ რგოლთან დაკავშირებული დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში არსებული ძირითადი გამოწვევები და წარმოადგინოს რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ადვოკატების ცოდნის ამაღლებას მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და მათთან დაკავშირებით დისციპლინური სამართალწარმოებისთვის მიმართვის შესახებ.
- **მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტი** აქტიურად განაგრძობს საქმიანობას მოსამართლეთა შერჩევის და შეფასების პროცესში ადვოკატთა ასოციაციის როლის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. ადვოკატთა ასოციაციის მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტის ფარგლებში მომზადდა ინსტრუქცია საქართველოს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების თაობაზე. ინსტრუქციის მიზანია, რომ ადვოკატთა კორპუსს ჰქონდეს გზამკვლევი, თუ რომელ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და რა მეთოდოლოგიით განახორციელოს პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი პირები. ინსტრუქცია ასევე მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, უზრუნველყოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჩართულობა ყველა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოების დაკომპლექტება კვალიფიციური და კეთილსინდისიერი ადამიანებით. კომიტეტის მიერ ასევე მომზადდა ანგარიში და რეკომენდაციები სასამართლოში საქმეთა ნაკადების მართვასთან დაკავშირებით. საქმეთა ნაკადების მართვა ქართული მართლმსაჯულების წინაშე არსებული ერთ-ერთი ყველაზე აშკარა გამოწვევაა. აღნიშნულის გათვალისწინებით მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტმა მოამზადა ანგარიში და რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის ფართო დისკუსიის დაწყებას ანგარიშში გამოკვეთილ საკითხებზე მათი გადაჭრის გზებისა და ეფექტური მექანიზმების შესამუშავებლად.

- **ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფის** ორგანიზებით ჩატარდა არაერთი შეხვედრა პროფესიულ წრეებსა და უნივერსიტეტის სტუდენტებთან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პოპულარიზაციის მიზნით.
- **სისხლის სამართლის კომიტეტი** აქტიურად საქმიანობდა სისხლის სამართლის სფეროში არსებულ საკანონმდებლო ცვლილებებისა და ინიციატივების მიმართულებით. მათ შორის, კომიტეტი ჩართული იყო საპროკურორო და საგამოძიებო უფლებამოსილებების გამიჯვნასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებასა და განხილვაში;
- **ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის** ჩართულობით ჩატარდა სადისკუსიო და ინფორმაციული ხასიათის შეხვედრები, მათ შორის კომიტეტის წევრების მონაწილეობით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკითხებზე შეხვედრა გაიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განვითარებისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესუალურ და პროცედურულ საკითხებს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს;

- **ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტი** აქტიურად საქმიანობს ადვოკატის პროფესიის ხელშეწყობის, ადმინისტრაციულ ორგანოებში ადმინისტრაციული წარმოების და ასევე, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით გასატარებელ ცვლილებათა პაკეტზე;
- **სამოქალაქო სამართლის კომიტეტი** ჩართულია ბავშვთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით შეხვედრებსა და დისკუსიებში. კომიტეტის წევრები ასევე აქტიურად არიან ჩართულნი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკითხების ადვოკატირების ნაწილში, მათ შორის მუშაობენ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ადვოკატთა გზამკვლევზე.

ასოციაციის ანალიტიკური საქმიანობის ფარგლებში შემუშავდა მნიშვნელოვანი ანალიტიკური დოკუმენტები, რომელთა ფარგლებში შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა საერთაშორისო პრაქტიკა და სტანდარტები როგორც სამართლებრივ, ასევე ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში მომზადდა შემდეგი ანალიტიკური დოკუმენტები:

- ევროპის ქვეყნების პრაქტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის სტრუქტურულ ერთეულებში ადვოკატთა მიერ მობილური მოწყობილობებით სარგებლობასთან დაკავშირებით - დოკუმენტის ფარგლებში შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა 15-მდე ევროპული ქვეყნის გამოცდილება მობილური მოწყობილობების სამართალდამცავ ორგანოში შეტანასთან დაკავშირებით დადგენილ აკრძალვებსა და ადვოკატთა მიმართ არსებულ გამონაკლისებზე;

- ადვოკატთა ასოციაციის ანალიტიკური საქმიანობის ფარგლებში, გაანალიზდა მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებული ადვოკატთა საქმიანობაში უკანონო ჩარევის ფორმები და შემუშავდა ბროშურა ადვოკატებისთვის კიბერ უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დაცვის თაობაზე. ბროშურაში მოცემული რეკომენდაციების შესრულება ხელს შეუწყობს ასოციაციის წევრებს, გაიუმჯობესონ კონფიდენციალურობის ხარისხი და დაიცვან თავი მესამე პირთა მიერ მათი საქმიანობის მეთვალყურეობისგან.
- საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ანალიტიკური დოკუმენტი საჯარო მოსამსახურის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების თაობაზე, რომლის ფარგლებშიც გაანალიზდა შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა.
- ასოციაციის ანალიტიკური საქმიანობის ფარგლებში, შესწავლილ იქნა საერთაშორისო პრაქტიკა არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით სასამართლოს როლზე. კვლევის ფარგლებში მოძიებულ იქნა ევროპული ქვეყნების საკანონმდებლო რეგულაციები არასრულწლოვნის ქონების განკარგვასთან დაკავშირებით სასამართლოს თანხმობის სავალდებულოობაზე.
- საანგარიშო პერიოდში ასევე შესწავლილ იქნა საერთაშორისო პრაქტიკა მეწარმის საქმიანობის შემოწმების პროცესში სასამართლოს როლთან დაკავშირებით.
- ასოციაციის ანალიტიკური საქმიანობის ფარგლებში, განხორციელდა თვისებრივი კვლევა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგ საჭიროებაზე, რომლის ფარგლებშიც ადვოკატებთან გაიმართა ფოკუს ჯგუფის შეხვედრები.
- საანგარიშო პერიოდში ასოციაციის ანალიტიკური მიმართულების მიერ შესწავლილ იქნა ადვოკატთა ვიწრო სპეციალიზაციის საკითხი გერმანული და შვეიცარული მოდელების მიხედვით.

- აგრეთვე, ანალიტიკური საქმიანობის ფარგლებში, გაანალიზდა საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა ადვოკატთა განგრძობად იურიდიულ განათლებასთან დაკავშირებით.

ასოციაციის საგანმანათლებლო საქმიანობა

ძირითადი მიმართულებები

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა

საანგარიშო წელს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ორჯერ ჩატარდა. საგამოცდო საგაზაფხულო სესიაზე დარეგისტრირდა 597 მონაწილე, საიდანაც გამოცდა წარმატებით 143-მა ჩააბარა. საშემოდგომო საგამოცდო სესიაზე 580 მონაწილე დარეგისტრირდა, საიდანაც გამოცდა წარმატებით 184-მა მონაწილემ ჩააბარა.





ადვოკატთა ასოციაციამ, მიმდინარე წლის საშემოდგომო საგამოცდო სესია, ახალი პროგრამული უზრუნველყოფით - [საგამოცდო პორტალით]() ჩაატარა. USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის ახალი საგამოცდო პროგრამული უზრუნველყოფა შექმნა, რომელიც მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევს საგამოცდო პროცესები ახალი და თანამედროვე ფუნქციონალის საშუალებით სრულად ელექტრონულად მართონ.

მომხმარებელზე ორიენტირებული ფუნქციონალის საშუალებით, საგამოცდო პორტალი თითოეულ მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს:

- თავად უზრუნველყოს სრული საგამოცდო პროცესის ადმინისტრირება;
- გაეცნოს სიახლეებს მიმდინარე საგამოცოდო პროცესებისა და კალენდარის თაობაზე;
- დისტანციურად შექმნას და მართოს საკუთარი კაბინეტი;

- წინასწარ ატვირთოს გამოცდისთვის განსაზღვრული სავალდებულო პრერეკვიზიტები;
- გამოცდის საფასური გადაიხადოს ელექტრონულად (საბანკო ბარათით), რაც გამორიცხავს დამატებით საგადახდო დავალებების ასოციაციასთვის გამოგზავნას;
- ნებისმიერი სპეციალიზაციის შემთხვევაში, გამოცხადებული საგამოცდო თარიღებიდან აირჩიოს მისთვის სასურველი თარიღი;
- დისტანციურად, პირადი კაბინეტიდან გაეცნოს მის მიერ გასაჩივრებულ საგამოცდო კითხვებსა და ექსპერტების დასაბუთებას.
- პირადი კაბინეტიდან მიიღოს დეტალური ინფორმაცია საგამოცდო სესიის თაობაზე, რომელშიც მონაწილეობა აქვს მიღებული;
- გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ელექტრონულად, მიიღოს და ბმულის საშუალებით გააზიაროს ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი და სხვა.

პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციონალი ადაპტირებულია ასევე სპეციალური საჭიროების მქონე (უსინათლო) პირებისთვის და ითვალისწინებს მათ საჭიროებებს, საკვალიფიკაციო გამოცდა მათზე მორგებულ გარემოში ჩააბარონ.

პროფესიული ადაპტაციის პროგრამა

საანგარიშო პერიოდში, რეგისტრაცია პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 2 ნაკადზე გამოცხადდა. საგაზაფხულო ნაკადზე 187 მონაწილე დარეგისტრირდა, რომლებმაც პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად 3-თვიანი თეორიული ნაწილი დაასრულეს და მიმდინარეობს სტაჟირების 9-თვიანი ნაწილი. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის საშემოდგომო ნაკადზე 174 მონაწილე დარეგისტრირდა. მონაწილეები დღეის მდგომარეობით 3-თვიან თეორიულ ნაწილს გადიან, რომელიც 2024 წლის იანვარში დასრულდება. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში, სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატად 636 სტაჟირების ხელმძღვანელი (მენტორი) ადვოკატია რეგისტრირებული.





ადვოკატის ფიცის დადების ცერემონია

საანგარიშო პერიოდში, სიმბოლურად ადვოკატის დღეს 8 ნოემბერს, ადვოკატთა ასოციაციაში ახლად გაწევრიანებულ ადვოკატთა ფიცის დადების ოფიციალური ცერემონია გაიმართა. ცერემონიის ფარგლებში, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 200-მა კურსდამთავრებულმა ადვოკატის ფიცი ოფიციალურად დადეს. თავმჯდომარემ, კურსდამთავრებულებს ფიცის დადების დამადასტურებელი სერთიფიკატები და ადვოკატის მოწმობები გადასცა.

განგრძობადი იურიდიული განათლება

საანგარიშო პერიოდში, განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამა, ასოციაციის წევრ ადვოკატთა ტრენინგ საჭიროებების კვლევის საფუძველზე დაიგეგმა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე შემუშავდა მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებდა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას.

თვისებრივი კვლევა, სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუსური ჯგუფის დისკუსიის ტექნიკების გამოყენებით ჩატარდა, ხოლო რაოდენობრივი კვლევისთვის ადვოკატის პორტალზე არსებული სტრუქტურირებული კითხვარი იქნა გამოყენებული. თვისებრივი კვლევის სამიზნე ჯგუფები ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტის თავმჯდომარეებისა და თანათავმჯდომარეებისგან შემდგარი ფოკუს ჯგუფებით დაკომპლექტდა, ხოლო რაოდენობრივ კვლევაში ადვოკატთა ასოციაციის მოქმედმა წევრებმა მიიღეს მონაწილეობა.

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული თემების შესაბამისად, დაიგეგმა საანგარიშო წლის განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამა, რომლის ფარგლებში განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად 5 ონლაინ მოდული შემუშავდა და 52 საგანმანათლებლო ღონისძიება ჩატარდა. ონლაინ მოდულები ადვოკატის ვებ-პორტალზე განთავსდა და ნებისმიერი მოქმედი ადვოკატისთვის არის ხელმისაწვდომი. ასევე, ადვოკატის ვებ-პორტალზე განთავსდა ინფორმაცია ფიზიკურ სივრცეში დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებების თაობაზეც, საიდანაც ნებისმიერ მოქმედ ადვოკატს ქონდა რეგისტრაციის, კრედიტების მონიტორინგის, ტრენინგის ხარისხის შეფასების, გამოკითხვებში მონაწილეობის მიღებისა და სხვა საგანმანათლებლო პროცესების მართვის შესაძლებლობა. საანგარიშო პერიოდში ონლაინ მოდულები ჯამში 998-მა ადვოკატმა გაიარა, ხოლო საგანმანათლებლო ღონისძიებებს ფიზიკურ სივრცეში ჯამში 1244 ადვოკატი დაესწრო.



ადვოკატთა სპეციალიზაციის კურსები ბავშვთა უფლებებსა და არასრულწლოვანთა მასთლმსაჯულებაში

საანგარიშო პერიოდში, სპეციალიზებულ კურსებში მონაწილეობის მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და დარგის ექსპერტების ჩართულობით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა (სისხლის სამართალი) და ბავშვის უფლებების (სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი) სპეციალიზებული კურსების ონლაინ მოდულები შემუშავდა. აღნიშნული ონლაინ მოდულები სრულად აკმაყოფილებს სპეციალიზაციისთვის დადგენილ სტანდარტებს. ონლაინ მოდულები ადვოკატის პორტალზე განთავსდა და ხელმისაწვდომი იყო ადვოკატებისთვის სპეციალიზაციის შესაბამისად მათთვის სასურველ ნებისმიერ დროს. ონლაინ კურსის გავლის შემდგომ, კურსისთვის განსაზღვრულ ტესტირებაზე, ადვოკატები სპეციალიზაციის შესაბამისად ადვოკატის პორტალზე განთავსებული კალენდარიდან რეგისტრირდებოდნენ.

საანგარიშო პერიოდში, ბავშვის უფლებების (სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი) სპეციალიზებული ონლაინ კურსი 291-მა ადვოკატმა გაიარა და ტესტირების საფუძველზე სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსი 90 მონაწილეს მიენიჭა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართალი) სპეციალიზებული კურსი 220-მა ადვოკატმა გაიარა და ტესტირების საფუძველზე, სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსი 81 მონაწილეს მიენიჭა.





ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის სისტემა

საანგარიშო პერიოდში, ადვოკატთა ასოციაციამ, ევროპული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, შეიმუშავა ადვოკატთა ნებაყოფლობითი დარგობრივი სპეციალიზაციის სისტემა, რომლის მიზანია, საქართველოში ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეწყობა, ადვოკატთა კვალიფიკაციისა და იურიდიული სერვისების ხარისხის ამაღლება და მომხმარებელთა ინტერესების ეფექტიანი დაცვა. შესაბამისი დებულება და სპეციალიზაციის მინიჭების წესი უკვე დამტკიცებულია აღმასრულებელი საბჭოს მიერ და 2024 წლიდან აქტიურად დაიწყება მისი განხორციელება.

ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობა

ეთიკის კომისია, როგორც ეთიკური ქცევის დამდგენი ორგანო, ორი მიმართულებით საქმიანობს:

შემოსული ინფორმაციის საფუძველზე ადვოკატის ქცევის შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება დისციპლინირების შესახებ

ადვოკატებისთვის რეკომენდაციათა გაცემა ეთიკურ საკითხებზე ადვოკატის წერილობითი ან ზეპირი მომართვისას

ანგარიში მოიცავს კომისიის საქმიანობის ორივე მიმართულების შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას, ასევე კომისიის მიერ დისციპლინური წარმოების გარდა განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვას.

- **გადაწყვეტილებათა სტატისტიკური ინფორმაცია:**

2023 წლის 15 დეკემბრის მონაცემებით კომისიამ მიიღო 103 საჩივარი, ხოლო პარალელურად აწარმოა წინა წლებიდან ნაშთის სახით მიღებული 95 საქმე და 29 საქმე, რაზეც 2023 წელს აღიძრა დისციპლინური დევნა. კომისიის წარმოებაში არსებული 227 საქმიდან დასრულდა საპროცესო ეტაპზე 110 საქმე, ხოლო განხილვის ეტაპზე 48 საქმე, ამჟამად მიმდინარეა წარმოება 69 დისციპლინურ საქმეზე. წარმოების ეფექტიანობისთვის კომისიამ საქმეთა ზეპირი განხილვის ფარგლებში ჩაატარა 276 სხდომა საპროცესო ეტაპზე, ხოლო 93 სხდომა განხილვის ეტაპზე.

2023 წელს კომისიაში შემოსული 103 საჩივარი წარმოდგენილია შემდეგი პირების მიერ:



- **საპროცესო წარმოების შედეგები:**

ეთიკის კომისიამ არ დააკმაყოფილა 58 პირის მოთხოვნა ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრაზე, 23 საქმეზე შეწყვიტა წარმოება, ხოლო 29 საქმეზე დაიწყო დისციპლინური დევნა.

საჩივრები, რაზეც არ დადასტურდა ადვოკატთა მიერ ეთიკური ქცევის სტანდარტების დარღვევა, შეეხებოდა ქცევის შემდეგ სტანდარტებს: კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, გარანტიის მიცემის დაუშვებლობა, ინტერესთა კონფლიქტის

დაუშვებლობა, კლიენტის კანონიერი და ეთიკური საშუალებებით დაცვა, ჰონორარის და საქმისწარმოების ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტისას არსებულ ვალდებულებათა დაცვა, კოლეგიალობის პრინციპი, სასამართლოში ქცევის წესების დაცვა, პროცესის მონაწილის უფლებების პატივისცემა.



23 საჩივარზე ეთიკის კომისიამ დისციპლინური წარმოება შეწყვიტა შემდეგი საფუძვლების გამო:

- 3 შემთხვევაში საჩივრის ავტორმა გაუშვა საჩივრით მიმართვისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა;
- 9 შემთხვევაში საჩივრის ავტორმა გაიხმო საჩივარი;
- 11 შემთხვევაში ეთიკის კომისიამ უარი თქვა საჩივრების განხილვაზე შემდეგი საფუძვლებით: საჩივრის განხილვა არ შედიოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში; არსებობდა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე; საჩივარი არ შეიცავდა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით საჩივრისთვის განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს.

ეთიკის კომისიამ 29 საქმეზე აღძრა დისციპლინური დევნა და შესაბამისად, ეს საქმეები გადაეცა განხილვის კოლეგიებს. დისციპლინური დევნის აღძვრის

საფუძვლებს წარმოადგენს ადვოკატთა მიერ შემდეგი პროფესიული ვალდებულებების სავარაუდო დარღვევა:

- კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულება - 8 შემთხვევა;
- კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საქმის მსვლელობის თაობაზე - 8 შემთხვევა;
- გამოუმუშავებელი ავანსის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება - 10 შემთხვევა;
- ინტერესთა შეუთავსებლობა - 5 შემთხვევა;
- ჰონორარის ოდენობის წინასწარ ინფორმირების ვალდებულება - 2 შემთხვევა;
- ფინანსური ანგარიშგების წარმოებისა და კლიენტისთვის წარდგენის ვალდებულება - 4 შემთხვევა;
- კლიენტის ფულადი სახსრების ადვოკატის პირადი ფულადი სახსრებისგან განცალკევებით შენახვისა და კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება - 5 შემთხვევა;
- კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონიერი საშუალებების გამოყენების ვალდებულება - 2 შემთხვევა;
- გარანტიის მიცემის დაუშვებლობა - 1 შემთხვევა;
- კოლეგიალობა - 8 შემთხვევა;
- სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება - 2 შემთხვევა;
- პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება - 5 შემთხვევა.

❖ **განხილვის წარმოების შედეგები:**

განხილული 48 საქმიდან 20 შემთხვევაში კომისიამ გამოიყენა დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები:

- 7 ადვოკატის მიმართ - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა;
- 11 ადვოკატის მიმართ - გაფრთხილება;
- 2 ადვოკატის მიმართ - საქმიანობის უფლების შეჩერება 6 თვის ვადით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

განხილვის კოლეგიის მიერ საქმეთა შესწავლის ეტაპზე, 14 შემთხვევაში ადვოკატი გამართლდა, ვინაიდან არ დადასტურდა პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევა, ხოლო 14 შემთხვევაში წარმოება შეწყდა (10 შემთხვევაში მხარეთა მორიგების საფუძვლით, 4 შემთხვევაში განმცხადებლის არაუფლებამოსილების დადგენის გამო).



საქართველოს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა ოთხი გადაწყვეტილება, სამ საქმეზე ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, მათ შორის საქმიანობის უფლების 6 თვის ვადით ჩამორთმევის შემთხვევაში, ხოლო ერთი საქმე ახლად გამოვლენილი ფაქტის გამო მხოლოდ სახდელის ნაწილში განსახილველად დაუბრუნდა ეთიკის კომისიას, სამართლებრივ შეფასებას სასამართლომ მხარი დაუჭირდა და დარღვევის დადგენის ნაწილში გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გრაფაში.

- **რეკომენდაციათა სტატისტიკური მონაცემები**

ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატებისთვის პროფესიული ეთიკის საკითხებზე რეკომენდაციათა წერილობით თუ ცხელი ხაზის მეშვეობით გაცემამ, რომელიც ამოქმედდა 2013 წლიდან, მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ადვოკატთა შორის. საანგარიშო პერიოდში კომისიამ 30 რეკომენდაცია გასცა, აქედან:

- 20 ზეპირი;
- 10 წერილობითი;



<u>კომისიის დამატებითი საქმიანობა</u>

2023 წლის განმავლობაში, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ აპარატის იურისტების მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის შეხვედრები ადვოკატებთან

ადვოკატებთან პროფესიული ეთიკის საკითხების განხილვისა და კომისიის პრაქტიკის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ადგილზე ჩატარდა შეხვედრები კახეთსა და იმერეთში ადვოკატებთან. დისკუსიის თემად განისაზღვრა პროფესიული ქცევის ის სტანდარტები, რაზეც კომისიაში მიმდინარე წელს ყველაზე მეტი მომართვიანობა დაფიქსირდა. ადვოკატებთან შეხვედრისას კონსტანტინე გელაშვილმა ეთიკის კომისიის საქმიანობის, უახლესი პრაქტიკისა და რეკომენდაციების შესახებ ისაუბრა. ადვოკატებმა პროფესიული ეთიკის მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები დისკუსიის რეჟიმში განიხილეს. შეხვედრები ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

კომისიის გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა საჯაროობის უზრუნველყოფა

ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდისთვის დამუშავდა და განთავსდა ეთიკის კომისიის კანონიერ ძალაში შესული ყველა გადაწყვეტილება და რეკომენდაცია. ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე ეთიკის კომისიის გრაფაში.

იურიდიული კლინიკის განვითარება

სტუდენტებში პროფესიული ქცევის სტანდარტების პოპულარიზაციისთვის ადვოკატთა ასოციაციის ბაზაზე 2016 წლიდან ხორციელდება ეთიკის კლინიკა. კლინიკის მიზანია, მაგისტრატურის ან ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს გამოუმუშაოს ის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რაც შეესაბამება მაღალ ეთიკურ სტანდარტებს და საადვოკატო საქმიანობის არჩევის შემთხვევაში სტუდენტი მზად იყო ეთიკური საადვოკატო პრაქტიკისათვის.

მიმდინარე წელს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კლინიკამ ტრადიციულად ითანამშრომლა თბილისში მდებარე რამდენიმე უნივერსიტეტთან, რომელთა შორისაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი. მიმდინარე წელს კლინიკაში სწავლება გაიარა მაგისტრატურის 29 სტუდენტმა.

რეგიონულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში, სტუდენტებში პროფესიული ქცევის სტანდარტების შესახებ ცოდნის გავრცელებისთვის შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თანამშრომლობის ფარგლებში 2022 წლის ივლისში დაფუძნდა

ეთიკის კლინიკა. კლინიკის მიზანია საადვოკატო საქმიანობით დაინტერესებულ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს გამოუმუშაოს ის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რაც შეესაბამება მაღალ ეთიკურ სტანდარტებს.

2022-2023 წლის განმავლობაში სემესტრულად განხორციელდა ათ კვირიანი პროგრამა ადვოკატის პროფესიულ ეთიკაზე, რომელიც მოიცავდა სალექციო კურსებს არაფორმალური განათლების ფორმატში და იმიტირებულ პროცესებს. პროგრამაში 24 სტუდენტი ჩაერთო. პროგრამა განხორციელდა USAID ROLP პროექტის ფარგლებში.

ასოციაციის სარევიზიო კომისიის საქმიანობა

2023 წლის განმავლობაში სარევიზიო კომისიამ გამართა 4 შეხვედრა და ზედამხედველობა გაუწია და დაამტკიცა 2022 წლის ფინანსური აუდიტის დასკვნას. სარევიზიო კომისიამ დამოუკიდებელი აუდიტორიული კომპანიის შერჩევის მიზნით გამოაცხადა კონკურსი განცხადებების მიღებაზე, განიხილა შემოსული განცხადებები და შეარჩია დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანია. სარევიზიო კომისიამ განიხილა და დაამტკიცა დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული 2022 წლის ფინანსური ანგარიშის დასკვნა. 2023 წელს ჩატარებული 2022 წლის ფინანსური აუდიტის დასკვნით ასოციაციის ფინანსური საქმიანობის ანგარიში შეფასებულია უპირობოდ დადებითად.

ასოციაციის 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 1 211 208 ლარს, რომლის ხარჯვითი ნაწილის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია:

- ახალი ოფისის ექსპლუატაცია და სრულად აღჭურვა;
- აპარატის პერსონალის ანაზღაურება;
- ადვოკატთა დახმარების სოციალური ფონდი (2023 წლის განმავლობაში ასოციაციის 30-მდე წევრს გაეწია დახმარება);
- პროფესიული ღონისძიებები;
- ოფისის გამართული ფუნქციონირების ხარჯი.

საერთაშორისო თანამშრომლობა

ადვოკატთა ასოციაციამ 2023 წლის 10 ნოემბერს ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა თემაზე - ბიზნესი და ადამიანის უფლებები.

კონფერენციის ფინანსური მხარდამჭერები იყვნენ: USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა, გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი, ევროპის საბჭო, ამერიკის სოლიდარობის ცენტრი და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი. კონფერენციაში ათი ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციების წარმომადგენლები, ასევე, ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოების საბჭოს (CCBE) და ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) ხელმძღვანელი პირები მონაწილეობდნენ.

აღნიშნულ თემაზე საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში წელს პირველად ჩატარდა და მის მიზანს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სფეროში სხვადასხვა ქვეყნის ადვოკატებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, ასევე, ამ სფეროში ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების პოპულარიზაცია იყო. კონფერენციაში მონაწილე 200-ზე მეტმა ადვოკატმა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები განიხილა, როგორებიცაა: ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო და პრეცედენტული სამართალი, მდგრადი განვითარების სამართლის პრაქტიკა და გარემოსდაცვითი ტენდენციები, ბიზნესისა და შრომითი უფლებები და სხვა.

ნაფიც-მსაჯულთა თემაზე სასწავლო ვიზიტი ადვოკატებისთვის ამერიკის შეერთებული შტატებში

საანგარიშო პერიოდში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერითა და ორგანიზებით, ადვოკატთა ასოციაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევების საკითხებზე ორი სასწავლო ვიზიტი ჩატარდა.

სასწავლო ვიზიტების ფარგლებში ადვოკატებმა სემინარებსა და საინფორმაციო სახის შეხვედრებში მიიღეს მონაწილეობა და სასამართლო პროცესებს დაესწრნენ.

სასწავლო ვიზიტში ადვოკატთა ასოციაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები (ჯამში - 21 ადვოკატი) მონაწილეობდნენ, რომლებაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევებში საბაზისო, შუალედური და სიღრმისეული (ტრენერთა-ტრენინგი) ტრენინგები გაიარეს. სასწავლო ვიზიტებს განგრძობადი ხასიათი ექნება და მიზანია ასოციაციაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართულებით მომუშავე ადვოკატების პროფესიულ გაძლიერებას, ასევე, ტრენერთა ჯგუფის ფორმირებას, რომელიც აქტიურად ჩაერთვება ყველა დაინტერესებული ადვოკატის შემდგომი გადამზადების პროცესში.

ოფიციალური შეხვედრები ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში ადვოკატთა ასოციაციის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი ჭეხანმა მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართეს მაიამი-დეიდის საზოგადოებრივი ადვოკატის ოფისის ხელმძღვანელთან, ფლორიდის შტატის ადვოკატთა ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრთან, სისხლის სამართლის ადვოკატთა ფლორიდის ასოციაციის ხელმძღვანელა და მაიამი-დეიდის ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე მხარეებმა ასოციაციების მოწყობისა და საქმიანობის, პროფესიული განათლების, პრობონო საქმიანობის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, დისციპლინური წარმოებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს. მხარეებმა ასევე დასახეს გეგმები სამომავლო თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მიმართულებით.

აშშ-ს ელჩი კელი დეგნანი ადვოკატთა ასოციაციას ეწვია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, კელი დეგნანი საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად ესტუმრა.

სტუმრებს ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი ჭეხანმა ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობა გააცნეს და ახლადაშენებული ადვოკატთა სახლი დაათვალიერებინეს.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ადვოკატთა ასოციაციაში მიმდინარე რეფორმები განიხილეს და აშშ-ს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტები მიმოიხილეს.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა აშშ-ს მხარდაჭერის განსაკუთრებულ როლს იურიდიული პროფესიის გაძლიერებაში.

მხარეებმა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებულ მიღწევებსა და გამოწვევებზეც ისაუბრეს, ასევე, აღინიშნა ადვოკატთა ასოციაციის აქტიური როლის მნიშვნელობა ამ პროცესში.

ელჩმა დეგნანმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ადგილობრივი წარმომადგენლობა სხვადასხვა პროექტის საშუალებით ადვოკატთა ასოციაციისა და ქართული იურიდიული პროფესიის მხარდაჭერას მომავალშიც გააგრძელებს.

ევროკავშირის ელჩის ვიზიტი ადვოკატთა ასოციაციაში

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ევროკავშირის ელჩი, პაველ ჰერჩინსკი და ადამიანის უფლებების, მართლმსაჯულებისა და დონორებთან კოორდინაციის პროგრამის მენეჯერი, ანე ბრიგიტე ჰენსენი ესტუმრნენ. დიპლომატებს ასოციაციის თავმჯდომარემ დავით ასათიანმა და აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ჭეხანმა ახლადაშენებული ოფისი დაათვალიერებინეს და ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს ადვოკატთა ასოციაციაში მიმდინარე რეფორმები და ევროკავშირის როლი ასოციაციის შემდგომ განვითარებასა და იურიდიული პროფესიის გაძლიერებაში.

მხარეებმა, ასევე, ისაუბრეს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ადვოკატთა ასოციაციის როლზე აღნიშნულ პროცესში. ამასთან, საუბარი შეეხო ევროკომისიის 12 პუნქტიანი რეკომენდაციის შესრულების პროცესსა და ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს.

აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით ნაფიც მსაჯულთა ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით მასშტაბური პროექტი - ,,ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლოს ეროვნული ჩემპიონატი'' დაიწყო.

პროექტი საქართველოს პროკურატურასა და უზენაეს სასამართლოსთან თანამშრომლობით ხორციელდება. აღნიშნული პროექტი მომავალი იურისტების პროფესიულ განვითარებასა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ირგვლივ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად. ჩემპიონატში 12 უნივერსიტეტის სტუდენტები იღებს მონაწილეობას. და ის მოიცავს გუნდებისთვის როგორც შუდასაუნივერსიტეტო ტრენინგებსა და იმიტირებულ სასამართლო პროცესებს, ასევე ნახევარფინალურ და ფინალურ შეჯიბრს.

ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ადვოკატის ვიზიტის წინასწარ დაჯავშნის ელექტრონული პორტალი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინიციატივითა და პროექტით, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან თანამშრომლობით, 2022 წელს შეიქმნა პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ადვოკატის ვიზიტის წინასწარ დაჯავშნის ელექტრონული პორტალი. ადვოკატთა ასოციაციამ აღნიშნული ინოვაციური პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს (INL) ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა.

საანგარიშო პერიოდში ელექტრონული პორტალი წარმატებით ფუნქციონირებდა. წლის განმავლობაში აღნიშნული პორტალით ისარგებლა 18513-მა ადვოკატმა.



ქართული ადვოკატურის ხმა ევროკავშირს

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მხარდაჭერის მიზნით, ქართული იურიდიული პროფესიის, ადვოკატურის სახელით დავით ასათიანი ევროკავშირის ელჩს საქართველოში პაველ ჰელჩინსკის შეხვდა.

დავით ასათიანმა ელჩს მიმართვა გადასცა, რომელიც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ საქართველოს განაცხადის მხარდასაჭერად, ევროპული საბჭოს სახელზე მომზადდა. დოკუმენტს ხელს აწერს 1000-მდე ადვოკატი.

ადვოკატთა საერთაშორისო სამართლებრივი ფორუმი ყაზახეთში

,,ძლიერი იურიდიული პროფესია-კანონის უზენაესობის საფუძველი“ - ამ თემაზე სამართლებრივი ფორუმი ჩატარდა ასტანაში, რომელშიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაციაც მონაწილეობდა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დავით ასათიანი ფორუმზე ადვოკატურის მონოპოლიის შესახებ მოხსენებით წარსდგა და ფორუმის მონაწილეებს ქართული ადვოკატურის მიღწევებზე, განხორციელებულ ცვლილებებსა და მრავალწლიან გამოცდილებაზე მიაწოდა ინფორმაცია.

ფორუმში ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის (IBA), ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) გერმანიის ადვოკატთა ფედერალური პალატისა (BRAK) და სხვადასხვა ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის პროექტის შეჯამება

საანგარიშო პერიოდში დასრულდა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერილი პროექტი სახელწოდებით ,,იურიდიული პროფესიის გაძლიერება საქართველოში''. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები მიზნად ისახავდა ადვოკატთა ასოციაციის თემატური კომიტეტების ორგანიზაციული და ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერებას, იურიდიულ პროფესიათა შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ადვოკატთა ასოციაციის საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამული უზრუნველყოფის გაძლიერებას, ისევე როგორც იურიდიული პროფესიის ეთიკის თაობაზე სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას პრაქტიკული სასწავლო გამოცდილების გზით.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ასოციაციის თემატური კომიტეტებისთვის ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, უმცირესობათა უფლებებისა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესახებ. კომიტეტების თავმჯდომარეებისა და თანათავმჯდომარეებისთვის განხორციელდა ტრენინგი პროექტის წერასა და ფონდების მოძიებასთან დაკავშირებით, ხოლო 2 ტრენინგი დაეთმო სამოქმედო გეგმებისა და ანგარიშების შედგენის საკითხს.

პროექტის ფარგლებში ასევე გაძლიერდა ადვოკატთა ასოციაციის ანალიტიკური მიმართულება, კერძოდ პროექტის მხარდაჭერით ასოციაციის გუნდს შეუერთდა უფროსი ანალიტიკოსი და ანალიტიკოსი. ამასთან, თემატური კომიტეტების მიერ მართლმსაჯულების სფეროში შეიქმნა 3 ანალიტიკური დოკუმენტი.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა 5 ბენჩ-ბარ შეხვედრა, 2 თბილისში, 1 ბათუმში, 1 ქუთაისსა და 1 თელავში, რომელთა ფარგლებშიც სხვადასხვა პრობლემურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მოსამართლეთა, ადვოკატთა და პროკურატურის წარმომადგენელთა ჩართულობით გაიმართა განხილვები. ბენჩ-ბარის ფორმატში რეგულარული შეხვედრები და დისკუსიები მნიშვნელოვანია იურიდიულ პროფესიათა შორის დიალოგისთვის, ისევე როგორც მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებისთვის.

USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში ასევე, შეიქმნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის ახალი საგამოცდო პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევს საგამოცდო პროცესები ახალი და თანამედროვე ფუნქციონალის საშუალებით სრულად ელექტრონულად მართონ.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა ათ კვირიანი პროგრამა ადვოკატის პროფესიულ ეთიკაზე, რომელიც მოიცავდა როგორც სალექციო კურსებს არაფორმალური განათლების ფორმატში, ასევე იმიტირებულ პროცესებს. პროგრამაში ჯამში 24 სტუდენტი ჩაერთო, რომლებმაც გაიღრმავეს თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ადვოკატის პროფესიულ ეთიკაზე.

საანგარიშო პერიოდში, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამასთან თანამშრომლობის ფარგლებში, ადვოკატთა ასოციაციამ არსებული პრიორიტეტებისა და გამოწვევების გათვალისწინებით შეიმუშავა ახალი პროექტი, რომელიც 2 წლიანია და სრულად არის მხარდაჭერილი USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ.

ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენცია აზერბაიჯანში

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაციამ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა თემაზე: გენდერული თანასწორობა, როგორც ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ნაწილი, რომელიც აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩატარდა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ადვოკატურის ლიდერები მსოფლიოს 20 ქვეყნიდან.

შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, დავით ასათიანმა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა გენდერული თანასწორობის მიღწევის საკითხში იურიდიული პროფესიების როლს და გამოწვევების დასაძლევად საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მნიშვნელობას.

ადვოკატთა ასოციაციამ სირაქიუზის უნივერსიტეტის დელეგაციას უმასპინძლა

ნიუ იორკის შტატის სირაქიუზის უნივერსიტეტისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თანამშრომლობის ფარგლებში, სირაქიუზის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა საქართველოს მართლმსაჯულების სისტემასთან თანამშრომლობის გაფართოებას გეგმავს, რაც საქართველოში კანონის უზენაესობისა და იურიდიული პროფესიის შემდგომ გაძლიერებას ისახავს მიზნად. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, ადვოკატთა ასოციაციამ საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფ დელეგაციის წევრებს, მოსამართლე/პროფესორ ჯეიმს ბეიკერსა და სირაქიუზის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანის მოადგილეს, ენდრიუ ჰორსფოლს უმასპინძლა.

შეხვედრების მთავარი თემები იყო: საქართველოს მართლმსაჯულების სისტემისა და იურიდიული განათლების სფეროში არსებული გამოწვევები, მათი გადაჭრის გზები და ამ პროცესში სირაქიუზის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ჩართულობის ფორმატები.

კორპორაციული მიმართულება



მასტერ ლიგასა და არაერთ საერთაშორისო ჩემპიონატში მონაწილეობის შემდეგ, ადვოკატთა ასოციაციის საფეხბურთო გუნდმა ჩვენი ქვეყნის დროშა სენ-ტროპეში წარმოადგინა.

The Nations Cup 2023-ზე ადვოკატთა ასოციაციის საფეხბურთო გუნდმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 60-ზე მეტ გუნდს შორის საქართველოს სახელით წარმატებით იასპარეზა.

ადვოკატთა ასოციაციის საჭადრაკო ნაკრების წარმატება

მიმდინარე წლის ნოემბერში ჭადრაკის სასახლეში საქართველოს კორპორატიული ჩემპიონატი ჩატარდა. ჩემპიონატში 30-მდე გუნდი მონაწილეობდა, რომელთა შორის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საჭადრაკო ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა. ადვოკატთა ასოციაციის სახელით ჩემპიონატში ის ადვოკატები მონაწილეობდნენ, რომლებიც შიდა ტურნირის შედეგად მოწინავე მოთამაშეებად დასახელდნენ. მომდევნო ერთი წლის განმავლობაში, ასოციაციის სახელით, სწორედ აღნიშნული შემადგენლობა მიიღებს მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირებში.

საგამომცემლო მიმართულება

საანგარიშო პერიოდში ადვოკატთა ასოციაციამ სამართლის სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხებზე განახლებული ფორმატის ჟურნალის 2 ნომერი გამოსცა. ჟურნალის ორივე ნომერი ასოციაციის წევრებს ელ-ფოსტის საშუალებით გაეგზავნათ. აღსანიშნავია, რომ ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“ წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების გზამკვლევს იურიდიულ საკითხებში.